



მთავარი ეკონომიკა მიზნისი ბანკები და ფინანსები მსოფლიო ეკონომიკა ინფრასტრუქტურა საზოგადოება, პოლიტიკა კომერსანტ-რეპორტიორი ელექტრონული ვაჭრობა დეკლარაცია ძველი საიტი

წმეულები / გახადე სასტარტო / კონტაქტი

მთავარი დღეს



2011-11-08 14:14:03
თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტს EBRD-ი გამოეთიშა
„საქართველოს რკინიგზამ“ დაფინანსების სხვა წყარო მოძებნა
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტს გამოეთიშა.

შეგახსენებთ: ხელისუფლება რკინიგზის დედაქალაქის ცენტრიდან ქალაქგარეთ გადატანის შემდეგ გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე მასშტაბური ბიზნეს-პროექტ „სითის“ ანუ „ქალაქში ქალაქის“ მშენებლობას აპირებს.

თუმცა დღეს ირკვევა, რომ EBRD-ი პროექტს აღარ აფინანსებს. ევრობანკის განცხადებით, „საქართველოს რკინიგზამ“ დაფინანსების სხვა წყარო მოძებნა, თუმცა ამ წყაროს ვინაობა ამ ეტაპზე არ კონკრეტდება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივაში“ კი განმარტავენ, რომ EBRD-ის სესხზე უარით რკინიგზამ მთელი რიგი ვალდებულებების შესრულება აიცილა თავიდან. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ბანკის სახსრების ასათვისებლად რკინიგზას მოსახლეობასთან დიალოგი უნდა დაეწყო და პროექტი გარემოსთვის მაქსიმალურად უსაფრთხო გაეხადა, რაც არ შესრულებულა. მისივე განცხადებით, რკინიგზას EBRD-ში უზიგულეს და ამის გამო ქართულ მხარეს თანხის ათვისება დაწყებულიც არ ჰქონდა.

შეგახსენებთ: EBRD-სა და „საქართველოს რკინიგზას“ შორის 2010 წლის 17 მარტს გაფორმებული ხელშეკრულებით, ევრობანკს პროექტში 100 მილიონი ევრო უნდა ჩაედო.

Like 1 Tweet 0

8 comments

Add a comment



Dato Chipashvili · Top Commenter · Tbilisi State University

სტუდია მონიტორის ფილმი თბილისის შემოვლითი რკინიგზის შესახებ... ანუ რის და ვის ხარჯზე ხდება "სახელმწიფო მნიშვნელობის" პროექტების განხორციელება... და კიდევ ინფორმაცია როგორ ხდება მიწის ნაკვეთების შეფასება გეოგრაფიკის მიერ და კიდევ ბევრი სხვა საინტერესო ინფორმაცია...

http://www.myvideo.ge/?act=dvr&chan=maestro&seekTime=07-01-2012+20%3A00
Reply · Like · Follow Post · January 7, 2012 at 8:06pm




Dato Chipashvili · Top Commenter · Tbilisi State University

ქალბატონო ირმა,

ახლახანს მივიღე პასუხი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან კითხვაზე: იყო თუ არა ერგბ-ს 100 მლნ ევროს ოდენობის სესხზე უარის თქმის საფუძველი ამ სესხის მაღალი საპროცენტო განაკვეთი, რაც რკინიგზის თქმით სამთავრობო სხდომაზე შეადგენდა პირველი 6 თვის განმავლობაში წლიურ 14%-მდე, რის გამოც მათ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის დასასრულებლად არჩიეს ობლიგაციებიდან მიღებული თანხა (წლიური 9.875%-ად);

პასუხად ერგბ-მ მოგვწერა, რომ სესხის საპროცენტო განაკვეთის ოდენობას კონფიდენციალობის გამო ვერ გვეტყოდნენ, თუმცა "The loan pricing has not been raised by Georgian Railway. in connection with the loan cancellation. The pricing information on EBRD transactions is a confidential information, which we are not in a position to disclose to third parties." - ელენე გორდევია, ერგბ-ს ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსი ბანკირი.



კვირის სტუმარი



პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა